**საბა ტაველიშვილი**
*გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

# თურქეთის სტრატეგიული როლი ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში: ენერგეტიკის სექტორის გავლენები პოლიტიკურ თანამშრომლობაზე

**აბსტრაქტი**

სტატიაში ენერგო პოლიტიკა განხილულია პოლიტიკური ურთიერთობების ჭრილში, თუ რამდენად შესწევს ძალა პრიორიტეტულ მიმართულებას უპასუხოს ისეთ პოლიტიკურ გამოწვევებს, რომელიც ბოლო ათწლეულია ანკარასა და ბრიუსელის ურთიერთობებში არსებობს. თურქეთის მზარდი სატრანზიტო პოტენციალი, რომელიც გავლენას ახდენს როგორც ეკონომიკურ ასევე პოლიტიკურ პროცესებზე, ბოლომდე მაინც ვერ პასუხობს ევროკავშირთან არსებული პრობლემების მოგვარებას.

**საკვანძო სიტყვები:** *თურქეთი, ევროკავშირი, ენერგო-უსაფრთხოება, სამხრეთ გაზის დერეფანი, საქართველო, ენერგო-ტრანზიტი.*

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ევროკავშირის ენერგო უსაფრთხოების პოლიტიკამ დიდი ცვლილებები განიცადა, პრაქტიკაში ეს პროცესები თურქეთის გეოპოლიტიკური პოზიციების გამყარებაზე აისახა. „სამხრეთ გაზის კორიდორმა“ თურქეთი, ევროკავშირის დივერსიფიკაციის პოლიტიკაში, უკონკურენტო აქტორად აქცია. აღმოსავლურ ენერგეტიკულ რესურსებსა და დასავლურ ბაზარს შორის თურქეთი ევროკავშირისთვის კარიბჭეს წარმოადგენს.

ენერგორესურსების ტრანზიტის მატებამ, ეკონომიკურ წინსვლას ხელი შეუწყო, რაც თავის მხრივ თურქეთის შიდა მოთხოვნაზეც აისახა. პირველ რიგში გაიზარდა მოთხოვნა ელექტროენერგიაზე. თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, 2023 წელს მშპ 5.1%-ით გაიზარდა, 2024 წელს კი წარმოებულმა ელექტროენერგიამ 354,570 გიგავატ საათი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებლთან 7.1% ით მაღალია. (2023 წელს სრული გენერაცია 286,892 გიგავატ საათი იყო). თურქეთის ენერგეტიკული სისტემა დიდწილად დამოკიდებული რჩება გაზის იმპორტზე. 2024 წლის მონაცემებით ქვეყნის ელექტრო გენერაციაში გაზის წილი 18.9%-ია, შესაბამისად რუსული გაზის იმპორტი კვლავ მაღალ ნიშნულზე რჩება - 2024 წლის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული გაზი, სრული იმპორტის 43.3%-ს შეადგენს. იმპორტის მაღალი მაჩვენებელი ხაზს უსვამს, როგორც თურქეთის ენერგიტიკული სისტემის მოწყვლადობას, ასევე ევროკავშირთან პოლიტიკური პრობლემების გაღრმავებას.

სტატიაში მიმოხილულია 2023-2024 წელს თურქეთის მზარდი ენერგო-მოხმარების დინამიკა, მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები და რუსეთის გაზზე

დამოკიდებულების გავლენა ევროკავშირი-თურქეთის პოლიტიკურ ურთიერთობებზე.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ დაჩქარებულმა დივერსიფიკაციის პოლიტიკამ, თურქეთის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და პოლიტიკურ დღის წესრიგში ორმაგი რეალიები შექმნა. 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომმა ევროკავშირის ენერგო-დივერსიფიკაციის პოლიტიკაში კატალიზატორის როლი ითამაშა, ევროპულმა პოლიტიკურმა ელიტამ მიზნად დაისახა არა მხოლოდ შიდა ბაზარზე, რიგ შემთხვევებში მსოფლიო ბაზარზეც შეამციროს რუსული გაზის იმპორტი. თურქეთის ენერგეტიკული სისტემის საგულისხმო ნაწილი კი რუსულ გაზზეა დამოკიდებული.

ბოლო ათწლეულში განვითარებული გეოპოლიტიკური ძვრები, რამდენადაც ხელსაყრელი არ უნდა იყოს ის თურქეთის სატრანზიტორო როლისთვის, ზღუდავს პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებას ევროკავშირთან.

პარადოქსი, სადაც თურქეთის რეალისტურ ამბიციებს უპირისპირდება მისივე ენერგიტუკლი სისტემის მოწყვლადობა, თურქეთის პოლიტიკურ პოზიციებს ასუსტებს, როგორც ბრიუსელთან ასევე მოსკოვთან. მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელი საკუთარ პოლიტიკურ რიტორიკაში, ოფიციალურ დოკუმენტებში, ხაზს უსვამს ანკარის როლს ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოებაში, ანიჭებს მას სტრატეგიულ მნიშვნელობას, მომიჯნავე პოლიტიკური გამოწვების მოგვარება მაინც ფერხდება, მაგალითად გაყინული ევროინტეგრაცია და ვიზა-ლიბერალიზაცია.

პროცესი განსაკუთრებით ნათელი გახდა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, როდესაც რუსული გაზი ევროკავშირისთვის მგრძნობიარე თემად იქცა. ერთი მხრივ, თურქეთს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია, „სამხრეთ გაზის კორიდორმა“ ევროკავშირისთვის რუსული გაზზე დამოკიდებულის შემცირებაში დიდი წვილი შეიტანა. მეორე მხრივ, გაიზარდა თურქეთის შიდა მოხმარება, რაც აიძულებს თურქეთს შეიძინოს რუსული გაზი. ასეთი პროცესები დამატებით უთანხოებას ქმნის თურქეთ-ევროკავშირის პოლიტიკურ ურთიერთობებში.

შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის ენერგეტიკულ პოლიტიკა განსაზღვრულია არა გეოპოლიტიკური გათვალებით, არამედ წმინდა ეკონომიკური რეალიებით. ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდამ, ანკარას გრძელვადიანი გეგმით მოქმედების შესაძლებლობა არ დაუტოვა და მიუხედავად ევროკავშირის დამოკიდებულებისა განაგრძნობს რუსეთთან თანამშრომლობას. მეტიც თურქეთის ატომური ენერგიის განვითარების საკითხში რუსეთს წამყვანი როლი უჭირავს. აქუიუს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას როსატომი ხელმძღვანელობს.

თურქეთ-ევროკავშირის ენერგეტიკული თანამშრომლობის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ თეორიული მიდგომის მიუხედავად სადაც დივერსიფიკაცია განხილულია როგორც ერთ წყაროზე დამოკიდებულების შემცირება, პრაქტიკაში შეიძლება დამოკიდებულების ახალ ფორმად ჩამოყალიბდეს. თურქეთ-ევროკავშირს განსხვავებული მიდგომები, ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში, პოლიტიკურ არენაზე რიგ წინააღმდეგობებს ქმნის.

არიგად სამი დასკვნის გამოტანა შეიძლება: პირველი, ამ ეტაპზე თურქეთი ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში უალტერნატივო მოთამაშეა: მას

გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და არსებული/პოტენციური სატრანზიტო ინფრასტრუქტურა. მეორე, თურქეთის დამოკიდებულება რუსულ გაზზე ზღუდავს ევროპულ პერსპექტივას, ამასთანავე ბოჭავს ბრიუსელს თურქეთში დაინახოს საკუთარი ინტერესების შესაბისად მოთამაშე აქტორი. მესამე, თურქეთი და ევროკავშირი ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებში დიდწილად ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი, თუმცა განსხვავებული პრიორიტეტები გააჩნიათ.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის დივერსიფიკაციის პოლიტიკა კომპლექსურად ზრდის პოლიტიკურ სირთულეებს, ანკარის რუსულ ენერგო მატარებლებზე დამოკიდებულება, ამცირებს მის პოლიტიკურ შესაძლებლობებს გაარღმავოს ურთიერთობები ევროკავშირთან.